პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ.პ.(ბ) ც.კ-ის და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП(б) ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 234 (9394) | ხუთშაბათი, 2 ოქტომბერი 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

დავრაზმოთ მთელი ძალები მარცვლეულის პრობლემის გადაჭრისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები სახელოვანი პატრიოტული საქმეებით ეგებებიან პარტიის XIX ყრილობას (1-ლი გვერდი).

ახალი სასწავლო წლის პირველი დღე (მე-2 გვერდი)

გ. ჯიბლაძე — ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში (მე-2 გვერდი).

ბიათურაში ნელა, დაგალხარისხოვნად აშენებენ (მე-2 გვერდი).

«მაკარ დუბრავა» (მე-3 გვერდი).

ა. ჭეიშვილი — დღეები უკრაინაში (მე-3 და მე-4 გვერდი).

შ. საბანაძე — ზუსტად გავითვალისწინოთ მომხმარებელთა მოთხოვნილებანი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ერროვნული ეკონომიკა

დავრაზმოთ მთელი ძალები მარცვლეულის პრობლემის გადაჭრისათვის

პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ, დიდმა სტალინმა საქართველოს მშრომელთა წინაშე უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახეს უახლოეს წლებში ჩვენი რესპუბლიკის უზრუნველყოფა საკუთარი წარმოების მარცვლეულით.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი 1957 წელს აყვანილ უნდა იქნას 1.070 ათას ჰექტარამდე ნაცვლად 1950 წლის 627 ათასი ჰექტარისა, მათ შორის ხორბლის ნათესი—770 ათას ჰექტარამდე ნაცვლად 1950 წლის 264 ათასი ჰექტარისა, ხორბლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე—22-25 ცენტნერამდე.

ამ სტალინური დავალების შესრულებაში საბჭოთა სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს მოწინავე ტექნიკით, მინერალური სასუქებით და სახსრების გამოყოფით წყალთა მეურნეობისა და სხვა ობიექტთა მშენებლობისათვის. ეს თვალსაჩინო დახმარება და არსებული შესაძლებლობანი უკანასკნელ დრომდე სათანადოდ არ იყო გამოყენებული საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მანკიერი სტილით მუშაობის შედეგად. ცუდად სრულდებოდა სამუშაოები მარცვლეული მეურნეობის დარგში.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მასები ფართო მასშტაბით პირველად წელს ჩაებნენ მათ წინაშე დასახული ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ განაცხადა: „ჩვენს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის ყველა პრობლემიდან ახლანდელ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია მარცვლეულის პრობლემა. ჩვენ, საქართველოს კომუნისტებს, უნდა გვახსოვდეს, რომ მარცვლეული მეურნეობის განვითარების გეგმა შედგენილია ისეთი ვარაუდით, რომ მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის ძირითადი სამუშაოები 1953-1957 წლებში შესრულდეს. მაშასადამე, ის, რაც აქამდე კეთდებოდა, მხოლოდ უმნიშვნელო წილია იმისა, რაც უნდა გაკეთდეს, რომ საქართველო საკუთარი წარმოების მარცვლეულით უზრუნველყოთ“.

გულდასმით მუშაობას მოითხოვს ახალი მიწების ათვისება. 1957 წლისათვის ასათვისებელია 371 ათასი ჰექტარი ახალი ფართობი. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით მუშაობა სათანადოდ არ არის გაჩაღებული. მიწების ათვისების გეგმა კოლმეურნეობებმა 1950-1951 წლებში 95,2 პროცენტით შეასრულეს, ხოლო თბილისის ოლქში — 91,1 პროცენტით. განსაკუთრებით ჩამორჩებიან თელავის, გორის, გარდაბნისა და მარნეულის რაიონების კოლმეურნეობები. საქართველოს სოფლის მეურნეობის, ტექნიკური კულტურების და წყალთა მეურნეობის სამინისტროების, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელმა მუშაკებმა გადამწყვეტი ბრძოლა უნდა აწარმოონ მიწის ფართობების გასადიდებლად, ორგანიზებულად მოაწყონ ბუჩქნარების ამოძირკვა, მელიორაცია, გამოიყენონ საბჭოთა მეცნიერების მიღწევები ნიადაგის სტრუქტურის გასაუმჯობესებლად.

მოსავლიანობის საგრძნობლად ამაღლების ნაკადი გზაა მარცვლეული მეურნეობის სამუშაოთა ფართო მექანიზაცია, კომპლექსური მექანიზაციის განხორციელება. სოფლის მეურნეობის მექანიზატორებმა არ უნდა დაიშურონ ძალა და ენერგია ამ დიდმნიშვნელოვანი სამუშაოს სასახელოდ შესრულებისათვის.

ხორბლეულის სათესი ფართობები სარწყავ მიწებზე 1957 წლისათვის აყვანილ უნდა იქნას 400 ათას ჰექტარამდე. წყალთა მეურნეობის მუშაკთა ღირსებისა და სახელის საქმეა გამოასწორონ სერიოზული ნაკლოვანებანი ამ საქმეში და უზრუნველყონ დასახული გეგმის ვადაზე შესრულება.

დიდი ამოცანების წინაშე დგანან სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკები, საბჭოთა სელექციონერები. მათ უნარიან მუშაობაზე დამოკიდებულია ხორბლის არსებული ჯიშების გაუმჯობესება, უხვმოსავლიანი, პერსპექტიული ახალი ჯიშების გამოყვანა და წარმოებაში დანერგვა.

ძირითადი მუშაობა მარცვლეულის პრობლემის გადაწყვეტის საქმეში იწყება 1953 წლიდან. ეს გვავალებს დროულად და მაღალხარისხოვნად შევასრულოთ საშემოდგომო ხვნა-თესვა.

არსებული მასალები მოწმობენ, რომ ამ მხრივ ვერ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. რესპუბლიკაში ნელი ტემპით მიმდინარეობს საშემოდგომო ხვნა. ზოგან მტს-ების მძლავრი სატრაქტორო პარკი მთლიანად არ არის გამოყენებული. განსაკუთრებით ჩამორჩებიან ხვნაში ხაშურის, ბადიაურის, ახალციხის, კაჩრეთისა და ყვარლის მტს-ები. პურის მოსავლიანობის გადიდებაში დიდია მექანიზატორთა პასუხისმგებლობა. ახლა მტს-ებს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეპატიოთ ჩამორჩენა, გეგმის შეუსრულებლობა.

საშემოდგომო ხორბლის მოსავალს მნიშვნელოვნად ადიდებს მინერალური სასუქები. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ვხედებით სასუქების შეუფასებლობას. განა დაუდევრობას, უპასუხისმგებლობას არ უნდა მიეწეროს ის, რომ 17.000 ტონა მინერალური სასუქები საქსოფლმომარაგების რაიონული განყოფილებების საწყობებშია ჩაწოლილი და მის გაზიდვას შეუწყნარებლად აჭიანურებენ ახალქალაქის, თეთრი წყაროს, საგარეჯოს, კაჩრეთის, ლაგოდეხის, სიღნაღისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობები. საჭიროა გადამჭრელი ზომები იქნას მიღებული სასუქების გატანის დასაჩქარებლად და ნიადაგში ძირითადი ხვნის დროს შესატანად.

საშემოდგომო თესვა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, დუშეთისა და სხვა რაიონებში. ზოგან არ იცავენ აგროწესებს, ჯეროვანი კონტროლი არ არის დაწესებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისადმი. მაგალითად, კაჩრეთის მტს-ის ცალკეულმა სატრაქტორო ბრიგადამ დაარღვია ხვნის წესი, მოუხნავი ადგილები დატოვა. ასეთ ფაქტებს სხვა მტს-ებშიც ვხვდებით. მტს-ების სამეურნეო და პარტიულმა ორგანიზაციებმა სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ასეთ ფაქტებს.

მოსავლიანობის გადიდების საქმეში შესანიშნავი ღონისძიებაა ჯვარედინად და ვიწრომწკრივად თესვა. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი იდეოლოგიური ორგანოები მოწოდებული არიან კონკრეტული დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს თესვის ამ პროგრესული წესის ფართოდ დანერგვის საქმეში. სათესების შეუფერხებელი მუშაობა, მთესველთა მცოდნე, გამოცდილი კადრების შერჩევა და თესვის ნორმების მტკიცედ დაცვა ხელს შეუწყობს მოსავლიანობის ამაღლებას.

თესვის ვადების დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უხვი მოსავლის მოსაყვანად, მცენარის კარგად გამოზამთრებისათვის. აუცილებელია საშემოდგომო ხორბალი დაითესოს დაწესებულ აგროტექნიკურ ვადებში. არ უნდა გამეორდეს გასული წლის შეცდომები, როცა მთელ რიგ კოლმეურნეობებში თესვა ჭიანურდებოდა გვიან შემოდგომამდე, რაც მოსავლიანობის შემცირებას იწვევდა. თესვის დაწესებული ვადის დაუცველობა განხილულ უნდა იქნას როგორც აგროტექნიკის უხეში დამახინჯება და დამნაშავეს პასუხი მოეთხოვოს. საშემოდგომო თესვის საუკეთესო ვადა საქართველოში ოქტომბერია.

საკოლმეურნეო სოფელში ახლა დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად წარმატებით ემზადებიან, რათა ახალი შრომითი აღმავლობით შეხვდნენ ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობას, სასახელოდ განახორციელონ მეხუთე ხუთწლედით დასახული დიადი სამუშაოები. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეთა, მექანიზატორთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა შემოქმედებითს ინიციატივას, მთელი თავიანთი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა გადაიტანონ მინდვრად, მტს-ების სატრაქტორო და კოლმეურნეობათა მემინდვრეობის ბრიგადებში, უზრუნველყონ პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდება.

საშემოდგომო თესვის მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩატარებით საიმედო საფუძველი ჩავუყაროთ მარცვლეული მეურნეობის მძლავრ აღმავლობას.

„საქართველოს კომუნისტებს,—თქვა საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე საბოლოო სიტყვაში ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ,—არაერთხელ შეუსრულებიათ ამხანაგ სტალინის დავალებანი. შეუსრულებიათ ზუსტად, უყოყმანოდ, დადგენილ ვადებში, შეუსრულებიათ ღირსეულად. გაიხსენეთ, როგორ გადავჭერით ციტრუსების პრობლემა. გაიხსენეთ, როგორ გადაიჭრა ჩაის პრობლემა. ახლა ჩვენს წინაშე დაყენებულია მარცვლეულის პრობლემა. იგი უნდა გადავჭრათ ისეთივე ბოლშევიკური სიმტკიცით, გაქანებითა და საქმიანობით, როგორც მაშინ ვწყვეტდით საქართველოსა და მთელი ჩვენი ქვეყნისათვის დიდმნიშვნელოვან ამოცანებს, რომლებიც იდგა ჩვენი სუბტროპიკული მეურნეობის წინაშე“.

მთელი ძალები დავრაზმოთ საქართველოში მარცვლეულის პრობლემის ბოლშევიკურად გადაჭრისათვის!

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები სახელოვანი პატრიოტული საქმეებით ეგებებიან პარტიის XIX ყრილობას

★ ★ ★ ★

სოფლის მეურნეობის დარგში მთავარ ამოცანად კვლავ რჩება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ამაღლება, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის შემდგომი გადიდება და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდება სოფლის მეურნეობაში მოწინავე ტექნიკისა და აგროკულტურის დანერგვის საფუძველზე კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაობის გაუმჯობესების გზით.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტიდან „პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“.

★ ★ ★

გეგმის გადამეჯებით

ბათუმი. (საკ. კორ.). სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს პარტიის XIX ყრილობის გახსნის დღის—5 ოქტომბრისათვის გეგმის გადამეტებით მოეკრიფათ 12 ტონა მაღალხარისხოვანი ფოთოლი. ჩაის ფოთლის გაენუწყვეტელი კრეფისა და აგროწესების ზუსტად დაცვის შედეგად კოლმეურნეობა წარმატებით ასრულებს ვალდებულებას.

დაწინაურდა მეორე ბრიგადა, რომელსაც ი. ციხკარაძე ხელმძღვანელობს. ნაყოფიერად მუშაობს აგრეთვე ბრიგადა, რომელსაც ს. საითაძე ხელმძღვანელობს. მკრეფავებს შორის თავი ისახელეს ა. ასამბაძემ, ხ. კახიძემ, ფ. თავდგირიძემ და სხვებმა, რომლებიც ყოველდღიურად 50 და მეტ კილოგრამ ფოთოლს კრეფენ.

უხვი მოსავალი

ჩაის, თამბაქოს, სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისათვის ენერგიულად მუშაობენ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადაში. მათ წელს ვალდებულება იკისრეს საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 30 ცენტნერი სიმინდი, 3.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაი, 25 ცენტნერი თამბაქო.

ბრიგადის წევრები იბრძვიან იმისათვის, რომ ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ პარტიის XIX ყრილობის გახსნის დღეს, სახელმწიფოს მისცენ 5 ტონა ზეგეგმითი თამბაქოს ნედლეული, რამდენიმე ასეული კილოგრამი ხარისხოვანი ჩაი.

ჩაის პლანტაციების კარგი მოვლის შედეგად ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ბრიგადამ ვადამდე გაანაღდა. ახლა აქ ვალდებულების ანგარიშში ყოველდღიურად მნიშვნელოვანი რაოდენობით კრეფენ ჩაის. თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა ბრიგადამ უკვე შეასრულა. წარმატებით გრძელდება თამბაქოს შეტეხვა და ანემსვა. („კომუნისტის“ კორ.).

ვალდებულებას ანაღდებს

წყალტუბო. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ მაღლაკის კოლმეურნეობის წევრთა შორის პატივისცემით სარგებლობს ნინო მარდალეიშვილი. მან დიდი გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. ის ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგას და ვალდებულების ანგარიშში ყოველდღიურად 40-50 კილოგრამ ჩაის კრეფს.

სტალინური პრემიის ლაურეატის სიტყვა და საქმე

ახმეტა. (საკ. კორ.). სოფელ ქისტაურის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეობის მერგოლურმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ოსანა აივაზაშვილმა წელს აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი მოიყვანა. პირველი გამოკვების აბრეშუმის პარკის მიღების გეგმას ორჯერ გადააჭარბა.

აივაზაშვილი ჩაება პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალი ვალდებულება იკისრა. მან პირობა დადო, რომ მეორე გამოკვების აბრეშუმის პარკის მოსავლიანობის გეგმას ორმაგად შეასრულებდა. ნოვატორმა მეაბრეშუმემ სიტყვა შეასრულა, დავალება 260 პროცენტით გაანაღდა. სახელმწიფოს მთლიანად პირველი ხარისხის აბრეშუმის პარკი ჩაბარა.

მექანიზაციოსთა ნაკრძალები

გორი. (საკ. კორ.) შინდისის მტს-ის მექანიზატორები პარტიის XIX ყრილობას ახალი საწარმოო მიღწევებით ხვდებიან. დადგენენ რა წინასაყრილობო სტახანოვურ ვახტზე, მექანიზატორებმა მნიშვნელოვნად აამაღლეს შრომის ნაყოფიერება, გააძლიერეს საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტემპი.

მტს-ის კოლექტივს ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება სატრაქტორო სამუშაოთა მესამე კვარტალის გეგმა შეესრულებინა ვადაზე 10 დღით ადრე. ეს ვალდებულება 115 პროცენტით არის განაღდებული. მტს-ის მომსახურე კოლმეურნეობებში გაჩაღებულია საშემოდგომო თესვა. წარმატებით ასრულებს შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს მეოთხე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც გ. ხარიბეგაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ გეგმის გადამეტებით 110 ჰექტარი მოხნა. ტრაქტორისტი თ. ვაშაკიძე, რომელიც XIX ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგას, სოფელ ფხვენისის კოლმეურნეობაში ნაცვლად 5,5 ჰექტარისა ყოველდღიურად 7 ჰექტარს ხნავს. იმავე კოლმეურნეობაში ტრაქტორისტი გ. ლაგურაშვილი დღეში 8 ჰექტარს ხნავს, გეგმა კი 5,5 ჰექტარს ითვალისწინებს. აბ. ხარიბეგაშვილის ბრიგადა იბრძვის იმისათვის, რომ 500 ჰექტარი დათესოს ყრილობის გახსნის დღისათვის.

მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს მეექვსე სატრაქტორო ბრიგადაც, რომელსაც ვ. სირანაშვილი ხელმძღვანელობს.

ორჯონიკიძელ მევენახეებთან

ორჯონიკიძე. (სპეც. კორ.). ორჯონიკიძელი მევენახეები პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და იკისრეს უდანაკარგოდ აიღონ და გადაამუშაონ ყურძნის მოსავალი.

ისინი საქმით ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. აგროწესების ზუსტად განხორციელებისა და მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების შედეგად წელს მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანეს. რთველის ორგანიზებულად ჩატარებისათვის რაიონმა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები განახორციელა. მაგალითად, შარშან ყურძნის გადაზიდვა 150-200-კილოგრამიანი ჭურჭლით ხდებოდა. დიდ ჭურჭელში ყურძენი იჭყლიტებოდა. ეს საგრძნობლად აუარესებდა შამპანური ჯიშის ყურძნის ხარისხს. ეს ნაკლი გამოსწორდა. ყურძნის გადასაზიდად წელს დაამზადეს 30-50-კილოგრამიანი ჭურჭელი, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ყურძნის ხარისხს. მტკიცე კონტროლია დაწესებული ყურძნის დასახარისხებლად თვით საკოლმეურნეო მინდვრებში კრეფის დროს.

ბეჯითი შრომის შედეგს ახლა იმკიან ორჯონიკიძელი კოლმეურნეები. რთველი უკვე გაჩაღდა. რაიონში წელს სახელმწიფო გეგმით 3.500 ტონა შამპანური ყურძენი უნდა დაამზადონ ანუ შარშანდელთან შედარებით 1.000 ტონით მეტი.

ამ დავალების გასანაღდებლად ორჯონიკიძელი მევენახეები კარგად შრომობენ. პირველ დღეებში მოკრეფილია 500 ტონა შამპანური ჯიშის პირველი ხარისხის ყურძენი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ ღვერკის კოლმეურნეობის ბრიგადა (ბრიგადირი ამხ. გ. თხელაძე). ბრიგადამ საუკეთესოდ მოუარა ვენახებს, 12 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე ახლა იღებენ 70 ცენტნერ ყურძენს ანუ ერთიორად მეტს, ვიდრე შარშან. სოფელ ნადაბურის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც ამხ. გელაშვილი ხელმძღვანელობს, შამპანური ჯიშის ყურძენი უკვე მოკრიფა 3 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 76 ცენტნერი. კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე 70-75 ცენტნერ ყურძენს მოელიან.

მოწინავე მეცხოველეები

დუშეთი. (საკ. კორ.). რაიონში ფართოდ არის გაჩაღებული ბოლშევიკური პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია მაღალმთიანი სოფლის მაღაროსკარის კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი საქონლის ფერმამ, რომელმაც უკვე შეასრულა ნამატის მიღებაგამოზრდის მიმდინარე წლის გეგმა.

ფერმაში კარგად არის მოწყობილი ძროხების მოვლა-პატრონობა. მწველავებმა ნ. გარაშვილმა, ნ. ვაჩეიშვილმა და თ. თაგვაშვილმა მათზე მოსავლელად მიჩენილ თვითეულ ძროხაზე თითო ჯანსაღი ხბო გამოზარდეს. ასეთივე წარმატება აქვთ ფერმის დანარჩენ მუშაკებს თ. ღურბელაშვილს, მ. მუშტაშვილს, თ. ბაიაშვილს და ე. ღურბელაშვილს.

მოწინავე მთიელი ქალები იბრძვიან ძროხების წველადობის ზრდისათვის. თვითეულმა მათგანმა გადაჭარბებით შეასრულა რძის მიღების 9 თვის გეგმა. მათ ვალდებულება იკისრეს თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღონ გაცილებით მეტი რძე, ვიდრე სახელმწიფო გეგმით არის გათვალისწინებული. ისინი წარმატებით ემზადებიან პირუტყვის გამოზამთრებისათვის, საკმაო რაოდენობით აქვთ მომარაგებული თივა და კონცენტრირებული საკვები, შეკეთებულია ფერმის შენობა და დამხმარე ნაგებობანი.

მეცხვრესეთა საჩუქარი

ცხაკაია. (საკ. კორ.). ნოსირის ციტრუსების სახელმწიფო სანერგის მუშაკები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ ციტრუსოვანთა მოვლას, იბრძვიან იმისათვის, რომ მეტი ნერგი მიაწოდონ ჩვენს დიად ქვეყანას.

სანერგის კოლექტივმა გადამეტებით შეასრულა მყნობის გეგმა, დამყნობილია 500.000 ძირზე მეტი ნერგი, გახარებულია ნამყნის 95 პროცენტი.

სანერგის მუშაკებმა პირნათლად შეასრულეს პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება.

მყნობაში თავი გამოიჩინეს მუშებმა ნ. პატარაიამ, მ. გველესიანმა, რ. ალიოხინმა, კ. ჩეპელევამ.



1. წყალტუბოს რაიონის სოფელი ქვილიშორი. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა. მოწინავე კოლმეურნეებმა ალექსანდრა გოგიძემ და ქეთევან ჩიხლაძემ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 107 პროცენტით შეასრულეს. ისინი საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და ვალდებულება აიღეს მოკრიფონ სამასსამასი კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. თავიანთ ვალდებულებებს ისინი წარმატებით ასრულებენ. სურათზე: მოწინავე მეჩაიეები ა. გოგიძე (მარჯვნივ) და ქ. ჩიხლაძე. 2. გურჯაანის მტს-ი. ტრაქტორისტმა შ. ზავრაშვილმა ვალდებულება იკისრა საშემოდგომოდ მოხნას 300 ჰექტარი მიწა. ვალდებულებას იგი პირნათლად ასრულებს, უკვე მოხნა 200 ჰექტარი. სურათზე: ტრაქტორისტი შ. ზავრაშვილი და მისი დამხმარე გ. ტაბახმელაშვილი ხნავენ გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მიწას.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ახალი სასწავლო წლის პირველი დღე

დაწესებულ დროზე და ორგანიზებულად

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წელი ორგანიზებულად დაიწყო თბილისის ორჯონიკიძის სახელობის პირველ სამკერვალო ფაბრიკაში.

ზუსტად საღამოს 5 საათზე საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ოთახში შეიკრიბნენ პარტიის ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრის მსმენელები. წრეში მეცადინეობას ატარებს პროპაგანდისტი ამხ. კ. ებანოიძე. მან მსმენელთა დასწრების შემოწმებისა და ორგანიზაციული საკითხის მოგვარების შემდეგ, წრის წევრებს დაწვრილებით გააცნო მომავალი მუშაობის გეგმა, განუმარტა ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიისა და თეორიის შესწავლის უდიდესი მნიშვნელობა, ამასთან მოაგონა მათ, თუ რა მოვალეობას აკისრებს თვითეულ კომუნისტს პარტიის წესდება.

პროპაგანდისტმა აღნიშნა, რომ გასულ სასწავლო წელს იყო შემთხვევები, როცა ზოგიერთი კომუნისტი მთელი სერიოზულობით არ ეკიდებოდა მეცადინეობას, არ ადგენდა კონსპექტს, იყო მეცადინეობის გაცდენის შემთხვევები. წელს ასეთი მდგომარეობა არ უნდა გამეორდეს.

ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი ამხ. თ. სხვიტარიძე) წელს ნაყოფიერი მუშაობა გასწია ახალი სასწავლო წლის მომზადებულად შეხვედრისათვის. პროპაგანდისტებად შერჩეული არიან საქმის მცოდნე და საკმაოდ გამოცდილი ამხანაგები. ფაბრიკის ყველა კომუნისტი მათი მომზადების დონისა და სურვილის გათვალისწინებით ჩაბმულია პარტიული განათლების სხვადასხვა ფორმაში. თვითეული წრისათვის გამოყოფილია ცალკე სამეცადინო ოთახი.

მეცადინეობის პირველმა დღემ გვიჩვენა, რომ ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია მომზადებული შეხვდა ახალ სასწავლო წელს. ყველა წრეში მეცადინეობა დანიშნულ დროზე დაიწყო. მეცადინეობის არასპატიო მიზეზით გაცდენის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის, წრის პროპაგანდისტებისა და ყველა კომუნისტის მოვალეობაა უზრუნველყონ პარტიული განათლების ქსელის ნაყოფიერი მუშაობა, იზრუნონ იმისათვის, რომ პარტიის თვითეული წევრი და უპარტიო აქტივისტი გულმოდგინედ ეუფლებოდეს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს.

გ. ჩიქვინიძე.

საქალაქო პარტიულ ორგანიზაციებში

რუსთავი

მეტალურგთა ქალაქის საწარმოებსა და სამშენებლო სამმართველოებში გუშინ დაიწყო სწავლა პარტიული განათლების ყველა რგოლში.

პირველი მეცადინეობა მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე მოეწყო სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ მაღალ ტიპის წრეში, რომელშიც გაერთიანებულია 26 მსმენელი — ქარხნის ხელმძღვანელი მუშაკები და მოწინავე მეტალურგები.

წრის პროპაგანდისტმა ამხ. ვ. მარტიროსოვილმა საინტერესოდ წარმართა შესავალი მეცადინეობა თემაზე „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია — მარქსიზმ-ლენინიზმია მოქმედებაში“.

— ახალი სასწავლო წლის დაწყება პარტიული განათლების სისტემაში, — თქვა ამხ. მარტიროსოვილმა, — დაემთხვა დიდმნიშვნელოვან ისტორიულ პერიოდს — პარტიის XIX ყრილობის გახსნის წინადღეებს. პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში, რომელიც განსახილველად წარედგინება ყრილობას, ხაზგასმულია მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დაუფლების უდიდესი მნიშვნელობა. კომუნისტთა და მათ შორის ჩვენი წრის მსმენელთა მოვალეობაა წელს უფრო ბეჯითად და გულმოდგინედ იმუშაონ ამ საწესდებო მოთხოვნის შესასრულებლად.

საორგანიზაციო-ტექნიკური საკითხების შემდეგ ამხ. მარტიროსოვილმა მსმენელებს ცოცხლად, საინტერესოდ განუმარტა თემის ძირითადი საკითხები.

მსმენელებმა პროპაგანდისტს მრავალი შეკითხვა მისცეს თემის შესახებ. ამ შეკითხვებმა ცხადყო ის დიდი ინტერესი და აქტივობა, რასაც კომუნისტები მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესწავლისადმი იჩენენ.

დროზე და ორგანიზებულად დაიწყო პირველი მეცადინეობა აგრეთვე მეტალურგიული ქარხნის მარტენის, ბლუმინგისა და მილნამზადის საამქროებისა და თბოელექტროცენტრალის პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულ წრეებსა და პოლიტსკოლებში, სადაც პროპაგანდისტებად არიან ამხ. შ. ანთელიძე, ნ. სოლოლაშვილი, ნ. მიხაილოვი, მ. ბარბაქაძე, ი. ტურიაშვილი.

ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს ნაკლიც იყო. მილსაგლინავი საამქროს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ ძირითადი ტიპის წრეში (პროპაგანდისტი ამხ. მ. კუბლაშვილი) გუშინ მეცადინეობა 30 წუთის დაგვიანებით დაიწყო. ამასთან პირველ მეცადინეობას მსმენელთა 50 პროცენტი ესწრებოდა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ წრეში გაერთიანებული არიან სხვადასხვა ცვლებში მომუშავე კომუნისტები. პროპაგანდისტმა მსმენელებთან გასაუბრებით გამოარკვია, რომ ზოგიერთი კომუნისტი წრეში თავისი სურვილის მიხედვით არ არის გაერთიანებული.

საჭიროა გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად სასწრაფო ზომების მიღება, წრეებისა და პოლიტსკოლების დაკომპლექტებაში დაშვებული შეცდომების ოპერატიულად გამოსწორება და ამ საფუძველზე პარტიული განათლების მთელ ქსელში მუშაობის ორგანიზებულობისა და მაღალი იდეურ-თეორიული დონის მიღწევა.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გორი

დიდი ბელადის სამშობლო ქალაქის — გორის პარტიული ორგანიზაციები პოლიტიკური განათლების ქსელში სასწავლო წლის დაწყებას მომზადებული შეხვდნენ. პირველ ოქტომბერს ორგანიზებულად დაიწყეს მეცადინეობა წრეებმა და პოლიტსკოლებმა.

სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პარტბიურომ სერიოზული ღონისძიებანი განახორციელა სასწავლო წლის მომზადებულად დაწყებისათვის, თვითეულ წრეს მიამაგრა პარტბიუროს წევრები, შექმნა ყველა პირობა ნაყოფიერი მეცადინეობისათვის.

გუშინ, 1 ოქტომბერს პარტორგანიზაციასთან არსებული ოთხივე წრე ზუსტად დაწესებულ დროზე შეუდგა მუშაობას. მეცადინეობა მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე მოეწყო.

საკონსერვო ქარხნის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლები და წრეები წინასწარ უზრუნველყოფილი იყვნენ სასწავლო გეგმებით, სახელმძღვანელოებითა და აღრიცხვის ჟურნალებით. უკლებლივ ყველა მსმენელი დაესწრო საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელი წრის მეცადინეობას. აქ მეცადინეობას ატარებდა პროპაგანდისტი ამხ. შ. ხუციშვილი. იგი ცოცხლად, საინტერესოდ, გასაგები ენით ესაუბრა მსმენელებს პირველი თემით გათვალისწინებულ საკითხებზე.

მომზადებულად მოეწყო აგრეთვე პირველი მეცადინეობა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელ წრეში (პროპაგანდისტი ამხ. ს. მიქაია).

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტები შეხვდნენ კონსულტანტებს და მიიღეს მათგან რჩევა-დარიგება, თუ როგორ შეადგინონ ინდივიდუალური სამუშაო გეგმები. პარტიული განათლების ქსელში ჩაბმული ამხანაგების დასახმარებლად საქარხნო ბიბლიოთეკა შეივსო ახალი ლიტერატურით.

შ. ჩუგინიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მეცნიერი მუშაკები ეხმარებიან მეშახტეებს

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულის ქვანახშირის შახტებში მუშაობს ქვანახშირის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ბრიგადა, რომელშიც შედიან ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ჯვარშეიშვილი, სამთო ინჟინრები ვ. ჭანიშვილი, ი. ზურაბიშვილი, ა. არდიშვილი, თ. ცაგარელი, ნ. რუხაძე, ვ. ლეკიშვილი და ვ. ჯოჯუა.

მეშახტე ნოვატორებთან შემოქმედებითი თანამშრომლობით მეცნიერი მუშაკები დეტალურად სწავლობენ ტყიბულის შახტებში ამჟამად გამოყენებული ქვანახშირის ფენების დამუშავების ჰიდრავლიკური ესების მეთოდს, ავლენენ მის სუსტ მხარეებს და სახავენ ღონისძიებებს ამ მეთოდით მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა საბადოს დამუშავების ისეთი ახალი, სრულყოფილი სისტემის შემუშავებას, რომელიც შესაძლებელს გახდის სანგრევების მაქსიმალურ განიავებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეშახტეთა შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის. ამავე დროს ეს სისტემა უზრუნველყოფს მოქმედი სანგრევის ხაზის მნიშვნელოვან გადიდებას და თანამედროვე სამთო ტექნიკის მაქსიმალურ გამოყენებას.

როგორც პრაქტიკამ ცხადყო, ჰიდრავლიკური ესების კომპლექსს აქვს მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც აფერხებს მილგაყვანილობაში ქვიშისა და წყალის ნარევის რეგულარულად გატარებას. ცდებისა და დაკვირვების შედეგად მეცნიერმა მუშაკებმა აღმოაჩინეს მილგაყვანილობაში ქვიშის დალექვის მიზეზები და დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი მის აღმოსაფხვრელად.

მშენებელთა მუშაობის ნოვატორული მეთოდების გავრცელებისათვის

რუსთავი. (საკ. კორ.). ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის საქალაქო მშენებლობის საუკეთესო მლესავმა ი. მამუკელაშვილმა მუშაობის ნოვატორული მეთოდების გამოყენებით მიაღწია ყოველდღიურ საწარმოო დავალებათა ორ-სამმაგად შესრულებას და ამასთან მუშაობის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას.

ამ დღეებში ტრესტის შრომისა და ხელფასის განყოფილებამ ი. მამუკელაშვილის მუშაობის შეთვლების პოპულარიზაციის მიზნით შეადგინა საწარმოო-ტექნიკური ინსტრუქცია, რომელსაც დართული აქვს წარჩინებული მლესავის ახლებურად მუშაობის ხერხების ამსახველი ფოტოსურათები.

აღნიშნული განყოფილება ასეთსავე ინსტრუქციებს ამზადებს მეექსკავატორეების, მეარმატურეების, მხერხავების და სხვა ნოვატორ-მშენებელთა მუშაობის მეთოდების ფართოდ გასავრცელებლად.

ჭიათურაში ნელა, დაბალხარისხოვნად აშენებენ

ჭიათურა შავი მეტალურგიის ერთ-ერთი მსხვილი ცენტრია. მარგანეცის ქალაქის ნამდვილი განახლება სტალინურ პერიოდში მოხდა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სახსრებსა და საშუალებებს არ იშურებენ, რათა ჭიათურა უფრო ლამაზი, მიმზიდველი და ნამდვილად კეთილმოწყობილი ქალაქი გახდეს. მაგრამ ქალაქის კეთილმოწყობის ყველა შესაძლებლობა სათანადოდ არ არის გამოყენებული, რაშიაც პირველ რიგში ბრალი მიუძღვის ქალაქის საბჭოს კომუნალური მშენებლობის განყოფილებას და ძირითად სამშენებლო ორგანიზაციებს — „ჭიათურმშენს“ (უფროსი შ. ახვლედიანი) და მარგანეცის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას (უფროსი გ. შანიძე).

„ჭიათურმშენი“ რომ ნელა, ზანტად აშენებს, ამას შემდეგი მონაცემები ადასტურებს: 1945 წლიდან დაწყებული მას არც ერთხელ არ გაუნაღდებია გეგმა. იყო წლები, როცა დავალება მხოლოდ 30-35 პროცენტით სრულდებოდა. ნელი ტემპით მუშაობენ წელსაც.

განსაკუთრებით ჭიანურდება საბინაო მშენებლობა. 1946 წლიდან დღემდე „ჭიათურმშენმა“ 19.400 კვადრატული მეტრის ნაცვლად მხოლოდ 5.980 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ააშენა. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა წელს. საცხოვრებელი სახლების მშენებლობის 9 თვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 17,3 პროცენტით.

დიდი ხანია გრძელდება ჭიათურა-პერევისის სამგზავრო-საბაგირო გზის მშენებლობა. იგი სამი წლის წინათ უნდა დამთავრებულიყო. ვინ მოთვლის მშენებლობის დამთავრების რამდენი ვადა გავიდა, დამთავრების ნიშნები კი ჯერ არ ჩანს.

შარშან ქალაქის ცენტრში როგორც იქნა დამთავრდა 70-ბინიანი საცხოვრებელი სახლის პირველი რიგის მშენებლობა. თვეობით გრძელდებოდა დავა—მიეღო, თუ არ მიეღო მარგანეცის ტრესტს ეს შენობა „ჭიათურმშენისაგან“. ხანგრძლივი მოლაპარაკებისა და დათმობების შემდეგ 1951 წლის 28 დეკემბერს შენობის დამთავრებაზე დაიწერა აქტი, რომელსაც ხელს აწერს სხვადასხვა ორგანიზაციის 16 წარმომადგენელი. აქტში აღნიშნულია შენობის 50-მდე ნაკლი და პროექტიდან გადახვევა. დასასრულ წერია: „აქტში აღნიშნული დაუმთავრებლობებისა და ნაკლის გამოსწორების ვადად დაწესდეს 1952 წლის 15 თებერვალი“. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ ნაკლის გამოსწორება არავის გახსენებია.

ცუდია მშენებლობის ხარისხი. ხშირად აუცილებელი ხდება შენობის კედლებისა და იატაკის მთლიანად გადაკეთება. მარტო მიმდინარე წელს თითქმის მთლიანად გადაკეთდა მეშვიდე და მერვე სახლები ლენინის სახელობის მაღაროში. ასეთი შემთხვევები ერთეული როდია. ეს იწვევს მშენებლობის გაჭიანურებას და გაძვირებას. საკმარისია ითქვას, რომ მარტო „ჭიათურმშენმა“ შენობების გადაკეთებისათვის 500.000 მანეთი გადახარჯა. ამ სენისაგან დაზღვეული არ არის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილებაც. ძნელია მოიძებნოს მის მიერ აშენებული საცხოვრებელი ან სამრეწველო ნაგებობა, რომელსაც სერიოზული ნაკლი არ ჰქონდეს.

რა არის მშენებლობის გაჭიანურების, წუნისა და გაძვირების მიზეზი? შრომის ცუდი ორგანიზაცია, მექანიზმების გამოუყენებლობა, ხელმძღვანელი მუშაკების უპასუხისმგებლო, მოუქნელი მუშაობა, მშენებელთა შორის სუსტი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, შრომის დისციპლინის დაბალი დონე, მშენებლობის მოწინავე მეთოდების არასაკმაო გავრცელება.

მშენებლობათა ხელმძღვანელები მუშახელის ნაკლებობას იმიზეზებენ, მაშინ როცა კვალიფიციური მუშები ხშირად სანახევროდ დატვირთული არ არიან. აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრ საუცხოო მექანიზმს აქ მხოლოდ 25-50 პროცენტის დატვირთვით იყენებენ.

მშენებლობის დაჩქარების, ხარისხის გაუმჯობესებისა და გაიაფების საკითხებზე ბევრი ბრძანება იწერება. მშენებლობათა ხელმძღვანელებიც ბევრ დაპირებებს იძლევიან, მაგრამ მდგომარეობა უცვლელი რჩება. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ „ჭიათურმშენს“ არასათანადოდ ხელმძღვანელობს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ტრესტი (ამხ. ნ. გიორგაძე). ჭიათურელი მშენებლების ღირსების საქმეა აშენონ სწრაფად, მაღალხარისხოვნად, ლამაზად და იაფად, გადააქციონ ჭიათურა კეთილმოწყობილ სანიმუშო სამრეწველო ქალაქად.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ღვინის ჩამომსხმელი ქარხანა

ახალციხე. (საკ. კორ.). დამთავრდა შამპანკომბინატის ღვინის ჩამომსხმელი ქარხნის ორსართულიანი შენობის აგება. ქვედა სართულში მოთავსებულია ღვინის მექანიკური ჩამომსხმელი განყოფილება, შესაფუთავი, სამრეცხაო და სხვა დამხმარე საამქროები.

ქარხანა მომსახურებას უწევს თბილისის ოლქის 9 რაიონს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს.

ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში

გ. ჯიბლაძე,
საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი.

მთელი საბჭოთა ხალხის უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში დაიწყო ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში ქალაქად. ეს აღმავლობა გამოწვეულია ჩვენი სახელოვანი მშობლიური კომუნისტური პარტიის, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ისტორიული XIX ყრილობის მოწვევით. ამ საყოველთაო-სახალხო აღმავლობის დღეებში პარტიული ორგანიზაციები უდიდეს მუშაობას ეწეოდნენ აგრეთვე იმისათვის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შეხვედროდნენ ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში.

როგორც ცნობილია, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის პოლიტიკური სიბეცის, ბანკიერი სტილით მუშაობის შედეგად უდიდესი ზიანი მიადგა როგორც კომუნისტთა პარტიული განათლების საქმეს, ისე მთელ იდეოლოგიურ მუშაობას.

მოდუნების, უპასუხისმგებლობისა და უდარდელობის შედეგად, იმის შედეგად, რომ არ იყო გაშლილი ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, განსაკუთრებით კრიტიკა ქვემოდან, ადგილი ჰქონდა მუშაობის ჩაშლას, ფორმალიზმს და მშრალი ციფრებისადმი გამოდევნებას. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ პოლიტსკოლებსა და წრეებში მსმენელთა დასწრება 35-40 პროცენტს არ აღემატებოდა, დაბალი იყო მეცადინეობის ხარისხი. ასეთივე მდგომარეობა იყო თბილისის პარტიულ ორგანიზაციებში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობის მიერ ყველა დარგში გაჩაღებული სისხლსავსე, ბოლშევიკური მუშაობის შედეგად პარტიული განათლების ქსელსაც უმოკლეს ხანში დაეტყო გაუმჯობესება. ამას მოწმობს აგრეთვე ის ფაქტი, რომ გასული სასწავლო წლის უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში გაუმჯობესდა არა მარტო სწავლების ხარისხი, არამედ გადიდდა მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრებაც. მაისსა და ივნისში მსმენელთა დასწრება პოლიტსკოლებსა და წრეებში უკვე აღწევდა 90-95 პროცენტს. ეს იყო პირველი ნაყოფი, რომელიც პარტიული განათლების ქსელში მივიღეთ ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობის მზრუნველობისა და დახმარების შედეგად. ამასთან გაძლიერდა ბრძოლა პარტიულ სწავლებაში ფორმალიზმისა და სკოლარობის ელემენტების აღმოსაფხვრელად.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ პარტიული და საბჭოთა კადრების იდეოლოგიური გამოწრთობის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტს. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში ამჟამად 1.500 კაცი სწავლობს. წელს მიღებულ იქნა 740 ამხანაგი. მათ შორის ბევრი უპარტიოა.

მიღებულია ზომები მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის მთელი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის. ამის შედეგად უნივერსიტეტსა და მის ფილიალებში მეცადინეობა დროზე, ორგანიზებულად დაიწყო. თუ გასულ წელს მეცადინეობის პირველ დღესვე საღამოს უნივერსიტეტის ორ ჯგუფში მეცადინეობა ჩაიშალა, წელს მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია. დასწრების პროცენტში პედაგოგთა ფილიალში 92 პროცენტს აღწევდა, ხოლო მედიცინის მუშაკთა ფილიალში 90 პროცენტს, მაშინ როცა გასულ წელს დასწრება 35-40 პროცენტს არ აღემატებოდა.

ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ საღამოს უნივერსიტეტის მუშაობაში ბოლომდე იყოს აღმოფხვრილი ნაკლოვანებანი, ჯერჯერობით არაორგანიზებულობა. ხელოვნების ფილიალში მისი დირექტორის ამხ. ჯაჯანის მოუქნელობის შედეგად პირველი მეცადინეობა 10 წუთის დაგვიანებით დაიწყო, მეცნიერ მუშაკთა ფილიალის დირექტორმა ამხ. პ. ჯიბლაძემ კი 25 აგვისტომდე თავი არ შეიწუხა ფილიალის დაკომპლექტებისათვის და ამ მხრივ მთელი მუშაობა თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ ჩაატარა. ყველა ეს ნაკლი, ცხადია, პირველყოვლისა თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მუშაობის გაძლიერების საჭიროებაზე მიგვითითებს.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ნამდვილად უზრუნველვყოთ ყველა კომუნისტის მუშაობა საკუთარი იდეურ-თეორიული ცოდნის დონის ამაღლებისათვის. ამ მიზნით მიღებულია ყველა ზომა. ორგანიზებული ხასიათი მიეცა ხელმძღვანელ მუშაკთა სწავლებას. პარტიის თბილისის კომიტეტთან უკვე შეიქმნა და გუშინ პირველად შეუდგა მეცადინეობას თბილისის მსხვილ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელების სემინარი, რომელიც შეისწავლის საბჭოთა ეკონომიკის საფუძვლებს და სახალხო მეურნეობის დარგებისადმი ხელმძღვანელობის პრაქტიკას (სემინარის ხელმძღვანელად დამტკიცებულია დოც. დ. მშვენიერაძე).

თბილისის პარტიულ ორგანიზაციებში, წინასწარი ცნობებით, 1 ოქტომბრიდან მუშაობას შეუდგა 849 პოლიტსკოლა, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი ძირითადი და მაღალი ტიპის წრე, აგრეთვე პოლიტიკური ეკონომიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელი წრე. მნიშვნელოვნად გადიდებულია ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების რაოდენობა.

იმ მიზნით, რომ მეტი დახმარება გაეწიოს პროპაგანდისტებსა და კონსულტანტებს იდეურ-თეორიული ცოდნის დონის ამაღლებისა და მათთვის მეთოდიური დახმარების გაძლიერების საქმეში, მიმდინარე წელს შექმნილია პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა 19 სემინარი, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტთა 25 და კონსულტანტთა 15 სემინარი. გარდა ამისა, რაიკომებთან და მსხვილ საწარმო-დაწესებულებებთან შექმნილია პარტიულ-საბჭოთა აქტივის 10 სემინარი და საღამოს 7 პარტიული სკოლა. შექმნილია აგრეთვე ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და საერთაშორისო ურთიერთობის შემსწავლელი სემინარები.

პარტიულ განათლებაში მთავარი და გადამწყვეტია პროპაგანდისტთა კადრები. პროპაგანდისტი პარტიული განათლების ცენტრალური ფიგურაა და არსებითად მასზეა დამოკიდებული მეცადინეობის ხარისხი. ამიტომ წელს გარკვეული მუშაობა ჩატარდა პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა შესარჩევად. მთელი რიგი პროპაგანდისტები და კონსულტანტები, რომლებიც არ იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე, შეცვლილი არიან გამოცდილი და უფრო მომზადებული ამხანაგებით. წელს სულ თბილისში იმუშავებს 1.124 პროპაგანდისტი. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება როგორც პროპაგანდისტთა, ისე კონსულტანტთა ახალი კადრებისადმი, განსაზოგადონ მოწინავეთა გამოცდილება და უზრუნველყონ სწავლების ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესება.

ყველაზე დიდი ნაკლი ჩვენ გვქონდა დამოუკიდებელ სწავლებაში. ეს ნაკლი იყო ფორმალიზმი, რომლის აღმოფხვრისათვის ამჟამად სერიოზული ღონისძიებანი ტარდება. დამოუკიდებლად სწავლებაში წელს ჩაბმულია 10.806 კომუნისტი, რომელთაც დახმარებას გაუწევს 1.660 კონსულტანტი. როგორც წესი, თვითეულ კონსულტანტთან იმუშავებს 5-7 ამხანაგი.

როგორც ცნობილია, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პარტიული კაბინეტები რეორგანიზებულია ბიბლიოთეკებად. მათ დიდი როლი აკისრიათ როგორც დამოუკიდებელი სწავლების, ისე მთლიანად პარტიული განათლების გაუმჯობესების საქმეში. ამ ღონისძიების შედეგად კიდევ უფრო მაღლდება საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიბლიოთეკებისა და მათი გამგეების როლი.

ქალაქკომთან და რაიკომებთან არსებული ლექტორთა ჯგუფები მოვალენი არიან აწყობდნენ მაღალხარისხოვან ლექციებს პარტიის ისტორიის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, საერთაშორისო მდგომარეობის, კომუნიზმის დიად მშენებლობათა საკითხებზე, აგრეთვე ლექციებს საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის საკითხებზე; თემატიკა უნდა მოიცავდეს აგრეთვე მეკრთამეობის, სპეკულაციის, ურთიერთმაამებლობის, საერთოდ ანდამიანთა შეგნებაში კაპიტალისტური გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს.

პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიონული კომიტეტების მოვალენი არიან განუხრელად ახორციელებდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობის დავალებას იმის შესახებ, რომ მიღწეულ იქნას კომუნისტთა პარტიული განათლების საქმის ყოველმხრივ გაუმჯობესება, ლექციური პროპაგანდისა და იდეოლოგიური მუშაობის ყოველმხრივ გაძლიერება.

ამისათვის, როგორც ამხანაგი ლ. პ. ბერია გვასწავლის, „წრეებისა და სკოლების მეცადინეობაზე დასწრების მაღალ პროცენტთან ერთად, მეცადინეობის რეგულარულობასთან ერთად, საჭიროა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ პარტკომთა მდივნები და პარტორგები, რაიკომთა და საქალაქო კომიტეტთა მდივნები ჩასწვდნენ პარტგანათლების წრეებისა და სკოლების მუშაობის შინაარსს, ხელმძღვანელობა გაუწიონ წრეებსა და სკოლებს მათი **მუშაობის ახსნა მიხედვით**, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სქემატიზმისა და სკოლარობის ელემენტების აღმოფხვრას, სწავლების ბოლშევიკური მეთოდების დანერგვას, პროგრამების შეთვისების ხარისხს“.

მეცადინეობის ხარისხის ამაღლებისათვის ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ამხანაგ სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული თბილისის ისტორიული ადგილები და ექსკურსიები ლენინის მუზეუმის ფილიალში.

პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან უზრუნველყონ კომკავშირელთა ფარგოდ ჩაბმა პოლიტიკური განათლების ქსელში; ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში. პარტიულმა ორგანიზაციებმა უკვე გაუწიეს დახმარება კომკავშირულ ორგანიზაციებს კვალიფიციურ პროპაგანდისტთა კადრებით. კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელის უზრუნველყოფაში, მაგრამ ეს როდი კმარა. საჭიროა პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად ეხმარებოდნენ კომკავშირს ამ დიდი ამოცანის წარმატებით შესრულებაში.

სასწავლო წელი დაიწყო! დაიწყო ორგანიზებულად, რასაც მოწმობს მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრების მაღალი პროცენტი. ლენინის, სტალინის, მოლოტოვის, ბერიას რაიონებში დასწრება 90-98 პროცენტს აღწევდა. სანიმუშოდ ჩატარდა პირველი მეცადინეობანი სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში, მაუდ-კამოლის ფაბრიკაში და სხვ. ივვე ითქმის კალინინის სახელობის ქარხანაზე, თუმცა პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. გ. გუგუშვილს უნდა ვუსაყვედუროთ კომკავშირისადმი არასაკმაო ხელმძღვანელობისათვის. იქ მეცადინეობაზე კომკავშირელთა დასწრება ძალიან დაბალი იყო. პარტიულმა ორგანიზაციებმა არათუ არ უნდა დაუშვან მეცადინეობის ჩაშლის არც ერთი შემთხვევა, არამედ უნდა უზრუნველყონ მეცადინეობაზე მსმენელთა აბსოლუტური დასწრება და სწავლების ხარისხის გადაჭრით ამაღლება. ამ მხრივ ყველაფერს მნიშვნელობა აქვს — ლიტერატურით უზრუნველყოფას, ბინას, ყოველდღიურ კონტროლს.

„პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, — თქვა ამხ. ა. მგელაძემ საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე, — პირადად უნდა ხელმძღვანელობდნენ პარტიულ განათლებას პარტიულ ორგანიზაციებში, არ უნდა „გადააკრონ“ იგი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებებს. მაშინ პარტიული განათლება ჩვენში ისე იქნება დაყენებული, როგორც ამას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს“.

ის დიდი პოლიტიკური აღმავლობა, რასაც მთელი საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის XIX ყრილობისათვის ზეადების დღეებში განიცდის, მოგვიწოდებს მივაღწიოთ პარტიული პროპაგანდის ისე დაყენებას, როგორც ამას მოითხოვს ხალხთა ბრძენი ბელადი, ჩვენი მშობლიური მამა და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი.

„მაკარ დუბრავა“

ბრიგოდოვის სახელობის თეატრში

მტერი განადგურებული იქნა. ჩვენი ქვეყანა ფაშისტთა ურდოებისაგან გაიწმინდა. გამარჯვებული საბჭოთა ხალხი კვლავ მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა. განაღდა მუშაობა ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის.

ამ საერთო ფერხულში ჩაბმულია სახელოვანი დონბასიც. ამ ფონზე ითლება და მეშახტეთა თავდადებულ შრომას ასახავს სტალინური პრემიის ლაურეატის, ალექსანდრე კორნეიჩუკის პიესა „მაკარ დუბრავა“.

ხანდაზმულია მაკარ დუბრავა, მას აქვს უფლება დაისვენოს, დიადი მშენებლობის მხოლოდ მაყურებელი იყოს და არა უშუალო მონაწილე. მაგრამ ასე როდი ფიქრობს მაკარი. მას სწამს, რომ მოესწრება კომუნიზმის დამყარებას, და უნდა მის მშენებლობაში თავისი ბატარა წვლილიც შეიტანოს. თუ მოხუცი ძველებურად ველარ ითუშავებს ქვანახშირის მონგრევაზე, სამაგიეროდ თავის გამოცდილებას გადასცემს ახალგაზრდობას. მაკარი თავს უყრის ხანდაზმულ მეშახტეებს ხმარას, ორლოვს, ზინჩენკოს და აქტიურად ებრძვება მუშაობაში. მოხუცი ენთუზიასტებს მხარში ამოუდგებიან შუახნის კონდრატ ტოპოლი, ახალგაზრდები გავრილა ბრატჩენკო, ტროფიმ გოლუბი და სხვები. საქმისათვის თავდადებულნი აძეძულებენ მაღაროს უფროსს პავლე კრუგლიაკს შეიგნოს თავისი შეცდომები, არ დაკმაყოფილდეს მარტო გეგმების შესრულებით. ეი ამ პიესის ჩონჩხი, მისი მარტივი სიუჟეტი.

დრამატურგმა ამ სიუჟეტს ისეთი შესატყვისი ჩარჩო გამოუნახა, ისეთი ცოცხალი რეალური სახეები გამოძერწა, რომ მაყურებელი დაძაბული ინტერესით ისმენს პიესას და მოქმედ პირთა განცდების უშუალო მონაწილე ხდება. ამ დრამის პარალელური სიუჟეტები — მაკარის პარტიზანი შვილის დაუუპვის ამბავი, კონდრატ ტოპოლის თავგადასავალი, კრუგლიაკის ოჯახური პატარა ტრაგედია, გავრილა ბრატჩენკოს ტრფიალი გალია ივანჩუკთან და სხვა ლირიკული გადახვევები პიესის დედააზრს არ ჩრდილავს, პირიქით, ხელს უწყობენ მის განვითარებას და მთავარი არსის გამოვლინებას.

პიესის დედააზრის წინა პლანზე წამოწევით, ტიპაჟის სწორად წარმოსახვით და შესატყვისი გამართლებული მიზანსცენებით ახალგაზრდა რეჟისორმა მ. ოლშანიცკიმ დადებით შედეგს მიაღწია და თავისი მხატვრული გემოვნება გამოაშკარავა, თუმცა ზოგიერთი სცენა შემდგომ დამუშავებას და დახვეწას საჭიროებს.

მოწოდების სიმაღლეზე დგას მაკარ დუბრავას როლის შემსრულებელი უკრაინის დამსახურებული არტისტი დ. სლავინი. მსახიობ სლავინს შესწევს უნარი ყველა როლის თავისი განსაკუთრებული სახე გამოუნახოს, ძველი საღებავები არ გამოიყენოს, აღიუფროს განსასახიერებელი გმირის სულისკვეთებით და ეს ყოველივე უბრალოდ, ბუნებრივად წარმოგვიასახოს. მაკარი წუხს, რომ მათი მაღარო მოწინავეთა რიგებში არ არის, და ეს მისი წუხილი ისეთი გულწრფელია, რომ მაყურებელი იმსჭვალება მაკარის სულისკვეთებით და მასთან ერთად ნატრობს შალე დაღწიოს თავი მაღარო „ვარსკვლავმა“ ჩამორჩენას და საჩვენებელ უბნად გადაიქცეს. მოსაყვარულე მამას პარტიზანი შვილი პეტრე დაეღუპა. ძნელია მამისათვის პირმშოს დაკარგვა და ეს მით უფრო აუტანელი ხდება, რომ არ იცის, სიკვდილს ჟამს შეიღმა სულმოკლეობა ხომ არ გამოიჩინაო. და აი ამბავნეს სისხლით დაწერილი ბარათი პეტრეს გმირულად დაღუპვის შესახებ. თვალზე ცრემლი მოადგება მოხუცს. მოსთქვამს დედა.

მაკარი წელში გასწორდება, ამშვიდებს მეუღლეს:

— ნუ სტირი, ნუ სტირი, პეტრემ ჩვენი ღირსება დაიცვა... და ეს ფრაზა ისევ თქმული მსახიობის მიერ, რომ გავიწყდება მწუხარება, სიამაყის გრძნობა გიპყრობს, რომ ჩვენმა ხალხმა მრავალი დუბრავა წარმოშვა, რომელთაც თავიანთი სისხლით დაიცვეს ჩვენი ქვეყანა.

ბუნებრივია მაკარის მეუღლის ოქსანას როლში მსახიობი ა. ლემეტგაიდტი.

თანამედროვე ადამიანის ძეცნიერებით გატაცებული ქალის ოლგას საინტერესო სახეს ქმნის მსახიობი ნ. ბურმისტროვა.

მსახიობ გ. ვოლინეცის მიერ არტემის ეპიზოდური როლის კარგად გაზრებულ განსახიერებას ხელს უშლის ერთფეროვანი ხმა.

პავლე კრუგლიაკის როლის შემსრულებელ მსახიობ ნ. ავერორნაკოვს როლი კეთილსინდისიერად აქვს შესწავლილი, სცენური გარეგნობით მსახიობი საკმაოდ არის დაჯილდოებული, ვერც ლიქიას დაუწუნებთ, მაგრამ ერთი გარემოება თვალში გეცემათ — ერთფეროვნება, ძველი სახეების განმეორება. ერთი და იმავე საღებავებს გამოყენება სხვადასხვა ვარიაციით. ამ ნაკლს მსახიობმა თავი უნდა დააღწიოს. ლევ ტოლსტოის „ცოცხალ ლეშში“ მის მიერ პროტასოვის როლის შესრულება ამის იმედს იძლევა.

უდავო მიღწევად უნდა ჩაეთვალოს მსახიობ იგორ ზლობინს კონდრატ ტოპოლის განსახიერება. მსახიობმა შეძლო ბუნებისაგან დაჩაგრული, თავისი საქმისათვის თავდადებული მეშახტის მიმზიდველი სახის შექმნა.

მაყურებლის ყურადღების ცენტრშია ანას როლის შემსრულებელი მსახიობი ა. გუბარდინა. ბავშვურ გულუბრყვილობას, სითამამეს, მიზნისადმი სწრაფვას იგი იმდენად ნათელი საღებავებით გვიხატავს, რომ მაყურებელი მჭუხარე, ერთსულოვანი ოვაციებით ეჯილდოებს მსახიობს.

ახალგაზრდა მეშახტის გავრილა ბრატჩენკოს მეტად კოლორიტულ სახეს ქმნის მსახიობი პ. ლუსპეკაევი.

კარგად აქვთ მოფიქრებული და დამუშავებული თავიანთი როლები მსახიობებს ნ. ტროიანოვს (ვოლუტი) და ი. კირილოვას (ბალია ივანჩუკი).

მარფა სტეპოვაიას როლის შემსრულებელს მსახიობ რ. კნიგას მართებს როლის დახვეწა და მეტი ბუნებრივობა.

მეტად ლოტა სიტყვიერი მასალა აქვთ ხანდაზმულ მეშახტეებს ხმარას და ზინჩენკოს. მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტებმა ბ. ვიანზემსკიმ და ი. ოსიპოვმა დამაკმაყოფილებელი სახეები შექმნეს.

მსახიობმა ე. კერენეევრმა შეძლო ორლოვის პატარა ეპიზოდური როლი წინა პლანზე წამოწია და მისთვის სრულიად ახალი საღებავები გამოენახა.

საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ა. სმირნოვას შესწევს უნარი თავისებური შტრიხები შეიტანოს ხოლმე ყველა როლში და საინტერესო სახე შექმნას. ასეთია მისი მარია სპერაკაკ.

როლის სწორი გაგებით ყურადღებას იქცევს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კ. დოკეინსკი, რომელიც მლიქვნელ ფილიპ სემენეკოს საინტერესო სახეს ქმნის.

სტეშას როლი იმდენად უმნიშვნელოა, რომ მსახიობი ე. ფირუმოვა უძლური გამოდგა მაყურებლის ყურადღება მიეპყრო.

სპექტაკლის დეკორაციული გაფორმება ვერ დგას მოწოდების დონეზე. შედარებით უკეთესად არის გაფორმებული პავლე კრუგლიაკის ბინა. გამოცდილ თეატრალურ მხატვარს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ირ. შტეწერეგს ამ პიესის გაფორმებაში ექტივნი ვერ ჩაუთვლება.

ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის პირველი სპექტაკლი ახალ სეზონში „მაკარ დუბრავა“ უთუოდ მოსაწონია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ხარვეზებს, რაც ზევით აღინიშნა. ამ ხარვეზების გამოსწორება თეატრის შემოქმედებითს კოლექტივს არ გაუძნელდება.

ა. ბურთიკაშვილი.

წიგნის თარო

ა. ბარამიძე—რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი. ნარკვევი. რედაქტორი შ. რადიანი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1952 წ., ტირაჟი 5.000, გვ. 84, ფასი 3 მან. 20 კაპ.

ქართველი სახალხო გმირები. კრებული. შედგენილი ქ. სიხარულიძის მიერ, მისივე რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. საბალიტგამი. 1952 წ., ტირაჟი 7.000, გვ. 130, ფასი 3 მან. 20 კაპ.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ბოლომდე აღმოვუხვრათ სტალინური წესდების დამახინჯებანი“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 16 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა კორესპონდენცია, რომელშიც მხილებული იყვნენ საზოგადო ქონების დამტაცებლები კასპის რაიონის სოფელ ნოსტეს საკაძის სახელობის კოლმეურნეობაში.

თბილისის ოლქის პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი ამხ. გ. ბიწაძე გვატყობინებს, რომ ოლქის პროკურატურამ შეისწავლა ეს საკითხი და პასუხისგებაში მისცა საწყობის გამგე ჯანგირაშვილი და ბუხჰალტერი ბარნოვი.

გამოუქვეყნებელი წერილების

კვაღდაკვაღ

საზოგადოებრივი მინის მითვისებისათვის

ყაჩრეთის რაიონიდან სოფლკორი გვწერდა, რომ სოფელ არაშენდის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ხარაზიშვილი უხეშად ამახინჯებს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, მითვისა 0,73 ჰექტარი საკოლმეურნეო ფართობი, საკოლმეურნეო პირუტყვი სხვადასხვა პირებს უფრო დაბალი ხარისხის პირუტყვზე გადაუცვალა. კოლმეურნეობაში ჩაშლილია შრომის ორგანიზაცია, სუსტია შრომის დისციპლინა.

წერილი შეამოწმა „კომუნისტის“ საკუთარმა კორესპონდენტმა. მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. სოფელ არაშენდის კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა განიხილა პარტიის ყაჩრეთის რაიკომის ბიურომ, რომელმაც კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ხარაზიშვილი საზოგადოებრივი მიწის მითვისების, კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაციის ჩაშლისა და სხვა დანაშაულისათვის გარიცხა პარტიის რიგებიდან და რჩევა მისცა კოლმეურნეთა საერთო კრებას მოხსნას იგი თავმჯდომარის პოსტიდან.

დამნაშავე დასჯილია

ზნაურის რაიონიდან სოფლკორი გვწერდა, რომ სოფელ ლოპნის კოლმეურნეობა „ახალ ცხოვრებაში“ სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებას არღვევენ, საზოგადოებრივ ქონებას ითვისებენ, ანგარიშწარმოება მოუწესრიგებელია.

წერილი სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ზნაურის რაიკომს. პარტიის რაიონული კომიტეტი გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საკითხი განიხილა რაიკომის ბიუროომ, რომელმაც დააყენა საკითხი კოლმეურნეობის თავმჯდომარის ტ. გაჩეჩილაძის პასუხისგებაში მისაცემად.

ზუსტად გავითვალისწინოთ მომხმარებელთა მოთხოვნილებანი

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის დირექტივების პროექტი მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სახავს კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის შეუნელებელი წინსვლის წარმტაც პერსპექტივებს, უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ მნიშვნელოვან ზრდას. სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად უმაგალითოდ ვითარდება საქონელბრუნვა, თითქმის ერთიორად იზრდება საცალო ვაჭრობა.

ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები დიდ მოთხოვნებს უყენებენ ვაჭრობის მუშაკებს, ავალებენ მკვეთრად გააძლიერონ ბრძოლა საბჭოთა კულტურული ვაჭრობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის, ფართოდ გაშალონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, ამხილონ და სწრაფად აღმოფხვრან ვაჭრობის ორგანიზაციისა და მომხმარებელთა მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

უკანასკნელ ხანებში დედაქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებმა გაიჩაღეს მუშაობა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მრავალი ქმედითი ღონისძიება განახორციელეს მომხმარებელთა მომსახურების გასაუმჯობესებლად. მიუხედავად ამისა, ვაჭრობის ორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე, აღმოფხვრილი არ არის მომხმარებლისადმი უხეში მოპყრობის, ზომა-წონაში მოტყუების, ფასების დამახინჯების, ხურდის დაუბრუნებლობის შემთხვევები.

ვაჭრობის მუშაკების ხელშია ქვეყნის დიდი სიმდიდრე, მილიონობით მანეთის საქონელი, და ვისაც ეს სიმდიდრე აბარია, იგი ყოველმხრივ შემოწმებული, კეთილსინდისიერი, სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგული უნდა იყოს, ამასთან უნდა იცოდეს, უყვარდეს და ემარჯვებოდეს ვაჭრობა. სამწუხაროდ, ვაჭრობის დარგში კადრების შერჩევას ზოგჯერ მეორეხარისხოვან საქმედ თვლიან, ავიწყდებათ, რომ ვაჭრობა სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი რთული და დიდმნიშვნელოვანი დარგია. ამის შედეგად სავაჭრო ორგანიზაციებში მოხვედრას ახერხებენ ულირსი, არასაიმედო ადამიანები, რომლებიც იტაცებენ და ანიავებენ სახელმწიფო ქონებას. ისინი სახელს უტეხენ ვაჭრობის იმ პატიოსან მუშაკებს, რომლებიც საკმაოდ ბევრნი არიან და რომელთა ენერგიული, კეთილსინდისიერი შრომა ხელს უწყობს საბჭოთა კულტურული ვაჭრობის შემდგომ აღმავლობას.

მნიშვნელოვანწილად ამ გარემოებით აიხსნება სერიოზულ ნაკლოვანებათა არსებობა თბილისის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში. ხშირია შემთხვევა, როცა მაღაზიებში მომხმარებელი ვერ შოულობს სავალდებულო ასორტიმენტის საქონელს, ისეთ საქონელსაც კი, რომელიც საწყობებში უამრავი აწყვია. მოუწესრიგებელია ისეთი საქონლით ვაჭრობა, რომელზეც მოსახლეობაში განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა. მაღაზიებში მოკალათებული ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი მუშაკის მეშვეობით ამ საქონლის ნაწილი ხელში უვარდებათ სპეკულანტებს.

მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში დედაქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებს ხელს უშლის ის გარემოება, რომ საქონლის მიმწოდებლები პირნათლად არ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, დროზე და სათანადო რაოდენობით არ გვამარაგებენ საჭირო საქონლით. მიმდინარე წლის 8 თვეში „თბილმრეწვავაჭრობას“ დააკლეს: „ოპტმეტიზტორგის“ საქართველოს ბაზამ — 2.600 საწოლი, კუიბიშევის სახელობის ხის დამამუშავებელმა ქარხანამ — 263 ათასი მანეთის ავეჯი, სარეწაო კოოპერაციამ — 4 მილიონი მანეთის სხვადასხვა საქონელი და ა. შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიმწოდებელი ორგანიზაციები ხშირად გვაწვდიან დაბალი ხარისხის პროდუქციას ან ისეთ საქონელს, რომელზეც მოსახლეობაში ნაკლები მოთხოვნილებაა.

სავაჭრო ორგანიზაციები ვალდებულნი არიან შეამოწმონ მთელი მიღებული საქონლის ხარისხი და არ დაუშვან დეფექტიანი ნაწარმის გაყიდვა. მაგრამ ეს არ კმარა. მთავარია სამრეწველო საწარმოებში ტექნიკური კონტროლის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენება. სამრეწველო საწარმოებში ტექნიკური კონტროლისა და სავაჭრო ორგანიზაციებში წუნდების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამო ხშირია შემთხვევა, როცა მაღაზიები მოხმარებისათვის უვარგის საქონელს ყიდიან. მოქალაქე ბელიაევსკიმ „თბილმრეწვავაჭრობის“ № 23 მაღაზიაში ამას წინათ საბავშვო ფეხსაცმელი შეიძინა. ერთი კვირის შემდეგ მომხმარებელმა ეს ფეხსაცმელი უკან დააბრუნა სრულიად დარღვეული და გაფუჭებული. ასე მალე გაფუჭების მიზეზი ის არის, რომ ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკამ იგი ცუდი ხარისხისა დაამზადა. მოქალაქე გომართელმა № 36 მაღაზიაში შეიძინა არტელ „ინსაწყომბინატის“ ნაწარმი ქალის ლაქის ფეხსაცმელი. ფეხსაცმლის ზედაპირი მეორე დღესვე დასკდა.

ფაქტები მოწმობენ, რომ ბევრ ჩვენს სამრეწველო საწარმოში სათანადოდ არ იბრძვიან პროდუქციის ხარისხისათვის, რომ ზოგიერთ საწარმოში ცუდად არის დაყენებული ოპერაციათაშორისი კონტროლი, რომ ცუდად მუშაობენ ტექნიკური კონტროლის განყოფილებები. „თბილმრეწვავაჭრობამ“ ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკიდან 350 წყვილი სამოდელო ფეხსაცმელი მიიღო. ყველა ამ ფეხსაცმელს პირველი ხარისხის დასმა ჰქონდა. ფაქტიურად მათგან 128 წყვილი მეორე ხარისხისა აღმოჩნდა, 12 წყვილი—მესამე ხარისხისა და 5 წყვილი—წუნდებული. არტელ „ინსაწყომბინატიდან“ 500 წყვილი რეზინის ჩექმა მივიღეთ. შემოწმების შემდეგ 278 წყვილი, როგორც უვარგისი, არტელს უკან დაუბრუნდა.

დაბალია შეკერილი ტანსაცმლის, აგრეთვე ადგილობრივი ფაბრიკებისა და არტელების მიერ გამომვებული ტრიკოტაჟის ნაწარმის ხარისხი. ამის გამო მათზე მოთხოვნილებაც ნაკლებია. მომხმარებელი სხვა, მეზობელი რესპუბლიკებიდან შემოტანილ ტრიკოტაჟს ანიჭებს უპირატესობას. ეს მდგომარეობა ჩვენი სამრეწველო და სატრიკოტაჟო საწარმოების წინაშე მკვეთრად აყენებს საკითხს — გადაჭრით გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი და გამოუშვან ისეთი ნაწარმი, რომელიც დააკმაყოფილებს საბჭოთა მომხმარებლის დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნილებას.

ფაქტია, რომ მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები და გამსაღებელი ბაზები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მომხმარებელთა მოთხოვნილებებს, არ ასრულებენ ყველა ასორტიმენტის პროდუქციის გამომვების დავალებას, საჭირო რაოდენობით არ ამზადებენ ან სრულიად არ უშვებენ ზოგიერთი სახის ფართო მოხმარების საგნებს. ამის შედეგია, რომ სავაჭრო ქსელში ხშირად არ იშოვნება ფართო მოხმარების ისეთი საგნები, როგორიც არის პატრუქი, ცოცხი, მარმარილოს პირსაბანი, კარისა და ფანჯრის მოწყობილობა, უთო, საბავშვო ველოსიპედი, საბავშვო ავეჯი და სხვ.

უკანასკნელ ხანებში კრეპ-დეშინი არტიკული 1114 ნაკლებად იყიდება. მიუხედავად ამისა, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა მას დიდი რაოდენობით ქსოვს, რის გამოც იგი მილიონობით მანეთის ღირებულებისა აწყვია საწყობებში. მოსახლეობის მოთხოვნილებისათვის ამგვარი ანგარიშგაუწევლობა იმას იწვევს, რომ უშედეგოდ იხარჯება ნედლი მასალა, ცდება აგრეგატები, მიღებული პროდუქცია არ საღდება.

„გლავშვეიხბიტის“ საქართველოს რესპუბლიკურ ბაზაში ყოველმხრივ ცდილობენ თავი აარიდონ „თბილმრეწვავაჭრობის“ მიერ წარდგენილ ტრიკოტაჟის ნაწარმის სპეციფიკაციიზე ხელის მოწერას. მიმდინარე წლის 9 თვე გავიდა და სპეციფიკაცია დღესაც ხელმოუწერავია.

როგორც ჩანს, საქონლის მომწოდებელი ორგანიზაციების ზოგიერთმა ხელმძღვანელმა დაივიწყა, რომ ჩვენში „საქონელი საბოლოო ანგარიშით მზადდება არა წარმოებისათვის, არამედ მოხმარებისათვის“ (ი. ბ. სტალინი).

ნაკლოვანებანი ვაჭრობის ორგანიზაციაში იმითაც აიხსნება, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა დახლის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას. დახლის მუშაკმა კარგად უნდა იცოდეს საქონლის თვისებები, მისი შენახვისა და გამოყენების წესები. მას უნდა შეეძლოს დაეხმაროს მომხმარებელს საქონლის არჩევაში და მისცეს რჩევა-დარიგება საქონლის გამოყენების თავისებურებათა შესახებ. ამ მხრივ თბილისის სავაჭრო ორგანიზაციებში ყველაფერი რიგზე როდია. დახლის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად არ კმარა მარტო ლექციები და მოხსენებები. ამასთან ერთად საჭიროა გვქონდეს სათანადო ლიტერატურა, სახელმძღვანელო წიგნი ვაჭრობის ორგანიზაციის საკითხებზე. ასეთი ლიტერატურა რუსულ ენაზე ბევრია. ქართულ ენაზე თარგმანიც არ მოგვებოვება.

საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობის მიერ სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად დასახული ღონისძიებანი ჩვენი კოლექტივის საბრძოლო პროგრამაა. „თბილმრეწვავაჭრობის“ კოლექტივის ამოცანაა უფრო გულმოდგინედ შეისწავლოს მოსახლეობის მოთხოვნილებები, გაუმჯობესოს მომხმარებელთა კულტურული მომსახურება, მიაწოდოს მათ მაღალი ხარისხისა და ფართო ასორტიმენტის საქონელი, არ დაუშვას საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევა და გადაჭარბებით შეასრულოს საქონელბრუნვის სახელმწიფო დავალება.

შ. საბანაძე,
თბილმრეწვავაჭრობის დირექტორის მოადგილე.

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

დღეები უკრაინაში

I

„მშვენიერია დნეპრი წყნარ ამინდში, როდესაც იგი დინჯად და ლაღად მიაქანებს მთა-ტყეებს შორის თავის სავსე წყლებს. არ შეირხევა, არც გაიხმაურებს. უმზერ და ვერ გაგიგია, იძვრის თუ არა მისი დიდებული სივრცეგანი, და გეჩვენება, თითქოს მთლიანად ჩამოსხმული იყოს იგი მინისაგან, და ვით ლაჟვარდი სარკისებური შარა, უზომოდ ფართო, უსაზღვროდ გრძელი, ლივლივით მიიკლაკნება მწვანე დედამიწაზე...“

რუსული მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატის, გოგოლის ყალმით დახატული ეს უბადლო სურათი გადამეშალა თვალწინ, როცა ჩვენმა მანქანებმა გადასჭრეს სამამულო ომის ქარცეცხლში აგებული უდიდესი ხიდი და ფართო მაგისტრალზე გაიჭრნენ.

ზმანებაა თუ სინამდვილე? დნეპრის ფართო ჭალას მივყვებით თუ ოქროს მდინარეში მივცურავთ? გინახავთ ნამდვილი ოქროსფერი, ბაჯაღლო ოქროსფერი მდინარე? ასეთ ოქროსფერ მდინარედ წარმოგვიდგა გურამიშვილის იუბილეზე ჩამოსულ ქართველ მწერლებს მოასფალტებული შარაგზა, დნეპრის ნაპირებიდან მირგოროდისაკენ რომ მიემართება.

დიდი ალოობის, უხვი მოსავლის ღების დღეებში მოვხვდით უკრაინაში. სტალინურ მოსავალს უწოდებენ სიამაყით აღსავსე კოლმეურნეები ამ არნახულ მოსავალს.

ეს ბაჯაღლო ოქროს ფერი ჯერ კიდევ მანამდე გვჭირდა თვალს, სანამ უკრაინის მადლიან მიწაზე დავდგამდით ფეხს. მაშინ თვითმფრინავის ფრთებს ქვეშ მიქროდნენ ზღვად ქცეული პურისა და მზესუმზირას ყანები და ამ ზღვაში შეცურებული ხმელეთის ხომალდები — კომბაინები.

მაგრამ ახლა ეს ზღვა ლანქერივით გადმოღვრილა შარაგზაზე და გიშრისფერ ასფალტზე ბაჯაღლოს ფერი დასდებია — ბარაქიანი სტალინური მოსავალი საკოლმეურნეო კალოებზე ვეღარ დატეულა, მცხუნვარე მზით გამთბარ ასფალტზე გაუშლიათ გასაშრობად ასიათასობით ცენტნერი ხორბალი, ჭვავი, ქერი, შვრია. აქ გამოფენილია დიდი და პატარა, ქალი და კაცი. აქ აშრობენ, ანიავებენ, სწონიან, მანქანებში ჰყრიან, და აქედან დაუსრულებლივ მიემართებიან ავტომანქანები „ზაგოტზერნოს“ საწყობებისაკენ, ელევატორებისა და საკოლმეურნეო ბეღლებისაკენ.

„პური ჩვენი სახელმწიფოს ძალა და სიმდიდრეა“, — გვამცნობს კოლონის მეწინავე სპარგულზე გაკრული ალაფერი ტრანსპარანტი. ამაზე ლაპარაკობენ სანიავებლებთან, სასწორებთან მოფუსფუსე, მზემოკიდებული, სიხარულით სახეანთებული კოლმეურნეები.

მოსავლის აღება, წარსულში ეს მძიმე პერიოდი მხვნელ-მთესველის ცხოვრებაში, დღეს სახალხო ზეიმად ქცეულა. ზეიმობენ უკრაინელი კოლმეურნეები, რომ ასე ბარაქიანი მოსავლით ხვდებიან უდიდეს მოვლენას საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში — მშობლიური პარტიის XIX ყრილობას.

გავიარეთ ოცი, ორმოცი, ასი კილომეტრი, და თითქოს ხულ ამ ოქროსფერ მდინარეში მივცურავთ...

უკვე მირგოროდს ვუახლოვდებით.

მირგოროდი, სოროჩინი, ნეჟინი — გოგოლისეული ადგილები. გული როგორ გაგიძღებს მირგოროდის, სოროჩინის ბაზრობა არ ნახო ამ კვირადღეს. უცნაურმა სიხარულმა აგვიტანა. თითქოს იმ ადგილებში ჩამოვსულიყოთ, სადაც ბავშვობა გაგვიტარებია. გაცოცხლდნენ ბავშვობიდან თანშეზრდილი სახეები. გულში გახმიანდა გოგოლის სიტყვები სოფლური ბაზრობის უთავბოლო ორომტრიალზე.

ვუკვირდები მირგოროდის ბაზრობას, მის ჩახჩახა ფერებს, სავაჭროდ ჩამოსული კოლმეურნეების გუგუნს, გასაყიდად მოყვანილი პირუტყვის გნიასს, გოჭების ყურთასმენის წამღებ ჭყვიტინს, ქათმების კრიახს, ცხვრისა და თხის პეტელს, კიკინს. ფერთა და ხმათა ამ სიუხვეში ცოცხლდებიან გოგოლის რეალისტური თვალით დახატული შტრიხები.

ამ ბაზრობაზეც შემოვრილა უხვი მოსავლით გამოწვეული დიდი სახალხო სიხარული.

ლუდის ფარდულთან ხალხი შეგროვილა: ქოჩორა კომბაინერის ახალ მოტოციკლს „ასველებენ“. გაისმის შეზარხოშებული კოლმეურნეების თავგადმოდებული კამათი. მათ გაგა იმით მოაქვთ თავი, რომ სარფიანად გაჰყიდეს და იყიდეს? არა, მათი თავმოწონების საგანი ისევ და ისევ უხვი მოსავალია, მშობლიური კოლმეურნეობის შრომითი წარმატებაა.

— კედელივით იდგა პური, დაბამბული ჯუბა რომ დაგეკიდნა, შეიმაგრებდა — ამბობს სიხარულით სახეანთებული ახალგაზრდა ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობიდან.

— მაშ, მაშ! — კვერს უკრავს მოტოციკლეტის მფლობელი კომბაინერი, — ხედერის ნახევარ სიგანეზე ვმკიდით, თორემ ისეთი ხშირი იყო პური, სალეწი ვერ გაიტანდა.

— მკიდით, თორემ, მე ვიცი, მარკ ბრაგას ოდენას აიღებ და გალეწ, — გაჰკივლწა ფრუნზელი კომბაინერი ჭის ოწინარიეთ აწოწილმა ჩაპაეველმა კოლმეურნემ.

— ბრაგასთან ჯერ ვერ მოვა ჩვენი მიკოლა, მაგრამ არც ეგ არის ხელწამოსაკრავი, ათი ათას ცენტნერზე ურტყამს, ათი ვარსკვლავი ხუმრობა ხომ არ გგონია. *).

შექებით დარცხვენილმა მიკოლამ ხორბლის ფერი ქოჩორი აიჩეჩა, ახლად ნაყიდი მოტოციკლეტის პედალს მძლავრად დაჭერა ფეხი და, თითქოს მოტორის გუგუნმა გაამხნევაო, დაქანებით ჩაილაპარაკა:

— ჯერ ზაფხული წინ არის, ათ ვარსკვლავზე არ გავჩერდები.

რაიონიდან რაიონში, ოლქიდან ოლქში ლეგენდასავით გადადის სახელგანთქმული კომბაინერის, სოციალისტური შრომის გმირის მარკ ბრაგას თავდადებული შრომის ამბავი. ბრაგამ ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში ექვსას ოთხმოცდახუთ ჰექტარზე აიღო მოსავალი და ჩვიდმეტი ათასი ცენტნერი მარცვალი გალეწა.

— ახლა ჩვენი კოლმეურნეობისა იკითხე! — ხმას უმაღლებს ჭარმაგი კოლმეურნე, ტარას ბულბასებური ულვაშები რომ უმშვენებს ღაღადაჟა 'ახეს, — იმდენი პური დახვავდა ჩვენს კალოზე, რომ ფიქრობ, რა ბეღელმა უნდა დაიტიოს! — ვითომც წუხს იგი, მაგრამ ჩუმჩუმად კმაყოფილებით იღიმება ბობოწვერა ულვაშებში, — რაღა ლარი და ხაზი უნდა, პირველ ადგილზე გამოვა რაიონში ჩვენი კოლმეურნეობა, — დაასკვნა მან და ბუხრის ქუდი ჯიელურად ჩაიკეცა.

— ვინ მოგახსენა? — ისევ იშრება საუბარში აწოწილი კოლმეურნე, რომელსაც პირისაკენ წაღებული ლუდიანი კათხა ხელში შეაცივდა. — თქვენ რა, მიმღები არა გაქვთ კოლმეურნეობაში? ეს ხუთი დღეა სულ ჩვენს კოლმეურნეობაზე ჰქუხს რადიო, მოსკოვის გაზეთებშიც კი ეწერა ჩვენი ამბავი! იმ გაზეთებს სტალინი კითხულობს, შენ რა გგონია! — აღფრთოვანებით დააბოლოვა მან.

— არა, წელს ჩვენი რაიონიდან ბევრი გავა გმირობაზე,—თქვა კომბაინერმა და აქფეებული ლუდიანი კათხა ჭარმაგის კათხას მიუჯახუნა.

ასეთი დიალოგები ყოველ ნაბიჯზე გესმის. აქ გამოსჭვივის სახელმწიფოებრივი შეგნების ზრდა, რომელიც თან სდევს ჩვენი საზოგადოების ძლევამოსილ წინსვლას სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ.

როცა გასცქერი ამ თვალუწვდენელ ველებს, გრძნობ, თუ რა გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საქმე სტალინურ ხუთწლედებში. ასეული კილომეტრები გავიარეთ მანქანებით პოლტავაშინაში, ზაპოროჟიეში, ხერსონის ოლქში. და ერთი ხელისგულისტოლა მიწაც კი არ გვინახავს დაუმუშავებელი და უდაბური.

— ერთი გრამი მარცვალიც არ აგვიღია ცელით და ნამგლით, — სიამაყით ამბობენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები.

მანქანამ შეცვალა მხვნელ-მთესველის მძიმე, გამთანგველი ფიზიკური შრომა. და შეჰხარის უკრაინელი კოლმეურნე ამ შრომის შედეგს, უხვ სტალინურ მოსავალს.

ახლა იგი სჭვრეტს კიდევ უფრო თვალწარმტაც ხვალინდელ დღეს, იმ დიდ წინსვლას და აყვავებას, რომელსაც უმზადებს სოფლის მეურნეობას მეხუთე სტალინური ხუთწლედი, რომელიც ასე მკაფიოდ არის გამოხატული პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტში. ამაზე ფიქრობს დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ამას იგრძნობთ ყოველ ნაბიჯზე, ყოველი შეხვედრის დროს.

II

ახალ კახოკაში ვართ...

რა ცოტა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობამ მიიღო დადგენილება კახოკის ჰიდროელსადგურის მშენებლობის შესახებ. საბჭოთა ადამიანების მარჯვენას დნეპრის შემაღლებულ ნაპირზე უკვე აღმოუ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა მიიღო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ი. ცედენბალი

პეკინი, 29 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება: ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე მაო ძე-დუნმა დღეს მიიღო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ი. ცედენბალი.

პრემიერ-მინისტრს თან ახლდნენ: პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ლხამსურუნი, განათლების მინისტრი შირენდიბი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჟარგალსაიხანი.

მიღებას დაესწრნენ აგრეთვე ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს გენერალური მდივანი ლინ ბო-ძიუი, პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი.

დარბაზობა მაო ძე-დუნთან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მე-3 წლისთავის გამო

პეკინი, 30 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ყოფილი იმპერატორის სასახლეში ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე მაო ძე-დუნმა დიდი საზეიმო დარბაზობა გამართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მე-3 წლისთავის გამო.

დარბაზობას დაესწრნენ ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს, სახელმწიფო იდმინისტრაციული საბჭოს წევრები, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, მინისტრები, დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წარმომადგენლები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, აგრეთვე მონღოლეთის მთავრობის დელეგაციის მეთაური ი. ცედენბალი, დიპლომატიური კორპუსი, უცხოეთის დელეგაციები, რომლებიც ზეიმზე ჩამოვიდნენ პეკინში, აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის დელეგატები და ჩინეთისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

დამსწრეთ მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა თავმჯდომარე მაო ძე-დუნმა, რომელსაც მჭუხარე ოვაციით შეხვდნენ.

ჯოუ ენ-ლაიმ დარბაზობა გამართა მონღოლეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

პეკინი, 29 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს:

სახელმწიფო იდმინისტრაციული საბჭოს პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ დღეს დარბაზობა გამართა მონღოლეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ი. ცედენბალი მეთაურობს.

საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაცია ინდოეთში

მადრასი, 30 სექტემბერი. (საკდესი). დღეს მადრასში ჩამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაცია. საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული სტუმრების შესახვედრად აეროდრომზე თავი მოიყარა მადრასის შტატის საზოგადოებრიობის რამდენიმე ათასმა წარმომადგენელმა. მათ შორის იყვნენ ინდოეთის წითელი ჯვრის საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების ხელმძღვანელები, სრულიად ინდოეთის პროფკავშირთა კონგრესის თავმჯდომარე ჩეტიარი, ანდხრას პროვინციაში დამშეულთათვის დახმარების აღმომჩენი გაერთიანებული კომიტეტის გენერალური მდივანი კრიშნა რაო და სხვები.

საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაციის წევრებს მიართვეს ცოცხალი ყვავილების გირლანდები.

ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაციის წევრებს გადასცეს მისალმებათა ტექსტები. „ამხანაგებო,—ნათქვამია მადრასის შრომითი კორპორაციის მისასალმებელ წერილში,—თქვენ აქ ჩამოხვედით, როგორც მშვიდობის მოციქულნი და ღვიძლი ძმები ჩვენი ცხოვრების მძიმე წუთებში. ჩვენი შვილები არასოდეს არ დაივიწყებენ საბჭოთა მშრომელების ძმურ დახმარებას. გაუმარჯოს მშვიდობისა და კეთილდღეობის დიდ ქვეყანას და მის ბელადს დიდ „სტალინს!“. მისასალმებელი წერილები, რომლებიც გამოხატავენ მხურვალე მადლობას საბჭოთა მშრომელებისადმი, მოდის შტატის პროფკავშირთა, გლეხთა და სხვა მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან.

ჯრანსიოგდანიის ახალი მთავრობის შედგენა

პარიზი, 30 სექტემბერი. (საკდესი). ფრანსს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ამანიდან იუწყება, რომ შედგა ტრანსიორდანიის ახალი მთავრობა, რომელშიც შედიან:

პრემიერ-მინისტრი, ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოვალეობის დროებით შემსრულებელი და საგარეო საქმეთა მინისტრი — ტევფიკ აბულ-ჰუდა; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ხოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი — საიდ ელ-მუფტი; განათლების მინისტრი — აბდულხალიმ ნემრი; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საქმეთა მინისტრი—დოქტორი ჯამილ ტუტუნჯი; ფინანსთა მინისტრი—მუსა ნასერი; სოფლის მეურნეობის მინისტრი — აზმედ ტარაუნა; გზათა მინისტრი — ს